ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 5
09/02/2018

5-08-4-201802091750

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე- 20 და 24-ე მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28.12.2017, ს/კ 010250000.35.114.016358) შეტანილი იქნეს ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი დამტკიცდეს თანდართული რედაქციის მიხედვით.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N33 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა